<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---მაისი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სანერგეს ქუჩისთვის, მასთან არსებული ჩიხებისთვის, შესახვევებისთვის და გასასვლელებისთვის სპორტსმენის გიორგი სხირტლაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, სანერგეს ქუჩას, მასთან არსებულ ჩიხებს, შესახვევებს და გასასვლელებს მიენიჭოს სპორტსმენის გიორგი სხირტლაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


X:483448 Y:4620794
X:483387 Y:4620778
X:483431 Y:4620768
IV ჩიხი
გიორგი სხირტლაძის ქ
X:483453 Y:4620727
X:483404 Y:4620725
III ჩიხი
X:483498 Y:4620727
III შეს
X:483527 Y:4620711
X:483467 Y:4620699
X:483436 Y:4620680
II ჩიხი
X:483481 Y:4620684
X:483475 Y:4620683
II შეს.
X:483390 Y:4620638
X:483468 Y:4620644
I ჩიხი
X:483467 Y:4620627
X:483662 Y:4620600
X:483446 Y:4620611
I შეს.
X:483463 Y:4620611
I შეს.
X:483873 Y:4620525
გიორგი სხირტლაძის ქ.
X:483459 Y:4620531
N
1:2,000

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი

STAFF OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

ადრესატი:

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ნინო მეზვრიშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:**03-032311653**
თარიღი: **26/04/2023**

გაცნობებთ, რომ თბილისის საკრებულოს ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარ წევრთან, ირაკლი ხელაძესთან ზეპირი კონსულტაციების დროს გამოიკვეთა, რომ ხსენებულ რაიონში არსებობს სანერგის ქუჩა, რომელიც საჭიროებს დამისამართებას. საკითხის შესწავლისას დადგინდა, რომ ქუჩაზე საკადასტრო ერთეულების ნუმერაცია განხორციელებულია დამისამართების თანამედროვე პრინციპებთან შეუსაბამოდ და ქუჩის სახელწოდებაც დაკავშირებულია არაა იქ არსებულ კონკრეტულ ობიექტთან, ადგილობრივი მოსახლეობის სურვილია ქუჩას ეწოდოს ქართველი სპორტსმენის გიორგი სხირტლაძის სახელი.

გთხოვთ, უზრუნველყოთ ქუჩის სიტუაციური ნახაზის გამოთხოვა მერიის შესაბამისი სამსახურიდან, ასევე მოამზადოთ საკითხი კომისიის სხდომაზე განსახილველად.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032312168**
თარიღი: **01/05/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარ წევრთან ირაკლი ხელაძესთან ზეპირი კონსულტაციების დროს გამოიკვეთა, რომ ზემოხსენებულ რაიონში არსებობს სანერგის ქუჩა, რომელიც საჭიროებს დამისამართებას.
საკითხის შესწავლის პროცესში დადგინდა, რომ ქუჩაზე საკადასტრო ერთეულების ნუმერაცია განხორციელებულია დამისამართების თანამედროვე პრინციპებთან შეუსაბამოდ. ასევე, ადგილობრივი მოსახლეობის სურვილია ქუჩას ეწოდოს ქართველი სპორტსმენის გიორგი სხირტლაძის სახელი.
მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ სანერგის ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01231223932**
თარიღი: **02/05/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 01.05.2023 წლის #03-032312168 (01.05.2023 წ. #14-01231212819-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გიორგი სხირტლაძე

(1932-2008)

სპორტსმენი (თავისუფალი ჭიდაობა). საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი,

1960 წელს დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი და 1966 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი. ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი (1960, რომი), ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი (1956, მელბურნი), მსოფლიოს ჩემპიონი (1959, თეირანი), მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი (1957, სტამბოლი), მსოფლიო თასის გათამაშების ვიცე-ჩემპიონი (1958), სსრკ ხალხთა I სპარტაკიადის ჩემპიონი (1956), სსრკ ხალხთა II სპარტაკიადის ვიცე-ჩემპიონი (1959), სსრკ სამგზის ჩემპიონი (1954, 1957, 1960), სსრკ ვიცე-ჩემპიონი (1953). შვედეთის, უნგრეთის, აშშ-ის საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული. საპატიო ნიშნის ორდენის კავალერი.

1956 წლის 1 სექტემბერს სპორტის განვითარების საქმეში აქტიური მონაწილეობისა და სსრ კავშირის 1956 წლის ხალხთა სპარტაკიადაზე მაღალი სპორტული მიღწევებისათვის დაჯილდოვდა საპატიო სიგელით.

1999 წელს საქართველოში ჭიდაობის განვითარებაში, ახალგაზრდა თაობების აღზრდაში, მაღალკვალიფიციური სპორტსმენების მომზადებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და მაღალი სპორტული შედეგების მიღწევისათვი დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.